სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

10 / აპრილი / 2025 წ.

№ **17/1037**

KA990132042860825

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 10 აპრილის № 6/18848 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N6-ის მიმდებარედ არსებულ 487 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.15.03.010.638) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 01.15.03.010.638 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „ვერის ბაღი (ყოფ. კიროვის ბაღი)“ (გის N4921) (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01/10/2007 N3/181 ბრძანება) ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N6-ის მიმდებარედ არსებულ 487 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.15.03.010.638) პრივატიზების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დამცავ ზონებში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. ამასთან, უძრავი ქონების შემდგომ განვითარების, მათ შორის, მასზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, საჭიროა, ნებისმიერი ქმედება დადგენილი წესით შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიასთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი